



**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**  
**GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

**დამტკიცებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2014 წლის 22 სექტემბრის  
 № 1270 დადგენილებით

**მოდულირებულია**  
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
 2018 წლის 2 აპრილის  
 № 01-05-04/95  
 დადგენილებით

## მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიები

Electronic Business Information Technology

### ფაკულტეტი

ბიზნესტექნოლოგიები

Business Technologies

### პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ალექსანდრე ედიბერიძე

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ინტერდისციპლინური ინფორმატიკის მაგისტრი  
 (Master of Interdisciplinary Informatics)

*მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში*

### სწავლების ენა

ქართული

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული ინტერდისციპლინარული გამოცდა). სტუ -ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> განთავსდება ზოგადი ინფორმატიკის გამოცდის საკითხები/ტესტები. გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

## პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. სასწავლო კომპონენტია - 75 კრედიტი, მათ შორის არჩევითი სასწავლო კურსები - 9 კრედიტი, სამაგისტრო პრაქტიკა - 5 კრედიტი. კვლევითი კომპონენტი - 45 კრედიტი, რომელიც მოიცავს: სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 5 კრედიტი, თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი.

სასწავლო პროცესი გაწერილია შემდეგი სახით: სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 16 კვირა. XVI კვირა ეთმობა თემატურ პროექტს და გამოცდისათვის მზადებას, XVIII-XIX კვირას ტარდება დასკვნითი გამოცდა. XX კვირა, საჭიროების შემთხვევაში, ეთმობა დამატებით გამოცდას.

პირველი სემესტრი მოიცავს 5-კრედიტიან 4 სასწავლო კურსს, 6-კრედიტიან 1 სასწავლო კურსს, 4-კრედიტიან 1 სასწავლო კურსს, საიდანაგ ხუთი - სავალდებულოა (26 კრედიტი), ერთი - არჩევითი (4 კრედიტი).

მეორე სემესტრი მოიცავს 5-კრედიტიან 5 სასწავლო კურსს, საიდანაგ ოთხი (20 კრედიტი) სავალდებულოა, ერთი - არჩევითი (5 კრედიტი).

მესამე სემესტრი მოიცავს ერთი - 5-კრედიტიან 1 სასწავლო კურსს, 6-კრედიტიან 1 სასწავლო კურსს, 4-კრედიტიან 1 სასწავლო კურსს, თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას/კოლოკვიუმს (10 კრედიტი) და სამაგისტრო პრაქტიკას (5 კრედიტი).

მეოთხე სემესტრში მაგისტრანტი ასრულებს და იცავს სამაგისტრო ნაშრომს - 30 კრედიტი.

ბრძანებას მაგისტრანტის ხელმძღვანელისა და სამაგისტრო ნაშრომის დასახელების შესახებ გამოსცემს დეკანი მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმის შესაბამისად (მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა იხილეთ:

[http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag\\_deb\\_danarTi\\_3\\_Sd.pdf](http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_danarTi_3_Sd.pdf)

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს 45 კრედიტს. მისი სავალდებულო ელემენტებია:

სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი (5 კრედიტი)

თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი (10 კრედიტი)

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (30 კრედიტი).

მაგისტრანტი კვლევით კომპონენტს ასრულებს სამაგისტრო ნაშრომის თემის მიხედვით. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსის ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსის შეფასების კრიტერიუმები და სკალები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სტუ-ს ვებ გვერდზე:

[http://gtu.ge/pdf/magistraturis\\_danarti\\_4\\_Sefasebis\\_wesi.pdf](http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis_wesi.pdf)

თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა - კოლოკვიუმს მაგისტრანტი იწყებს სწავლების მეორე წელს, მესამე სემესტრში და გულისხმობს სამაგისტრო თემასთან ან/და მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას. კოლოკვიუმზე მან უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოადგინოს მიღებული შედეგები.

კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის შედეგების წარმოდგენა/პრეზენტაცია, კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლება, მუშაობის დროს წამოჭრილი საკითხების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და გადაჭრა. პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება.

კოლოკვიუმის შეფასების მიზნით კვლევის შედეგები შესაბამისი სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-15 სასწავლო კვირისა) წერილობით წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ქმნის 3-5 კაცისაგან შემდგარ კომისიას. კომისიაში უნდა შევიდნენ შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები. კოლოკვიუმის შეფასება ხდება 5 კრიტერიუმის მიხედვით: ჩატარებული კვლევის მეთოდებისა და მიმართულების შესაბამისობა დასმულ პრობლემასთან, ჩატარებული კვლევის ხარისხი, ჩატარებული კვლევის საფუძველზე დასკვნის გაკეთება, კვლევის შემდგომი მიმართულების განსაზღვრა, თემის წარდგენის უნარი.

კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სტუ-ს ვებ გვერდზე:

[http://gtu.ge/pdf/magistraturis\\_danarti\\_4\\_Sefasebis\\_wesi.pdf](http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis_wesi.pdf)

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია მოცემულია სტუ-ს ვებ-გვერდზე:

[http://gtu.ge/pdf/magist\\_debuleba\\_dan5\\_2017\\_SD.pdf](http://gtu.ge/pdf/magist_debuleba_dan5_2017_SD.pdf)

საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესში სტუ-ს ვებ გვერდზე:

[http://gtu.ge/pdf/magistraturis\\_danarti\\_4\\_Sefasebis\\_wesi.pdf](http://gtu.ge/pdf/magistraturis_danarti_4_Sefasebis_wesi.pdf)

დეტალური ინფორმაცია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესის შესახებ მოცემულია სტუ-ს ვებ გვერდზე:

[http://gtu.ge/pdf/DanarTi\\_4\\_mag\\_2017.pdf](http://gtu.ge/pdf/DanarTi_4_mag_2017.pdf)

## პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია შეასწავლოს სტუდენტებს: ინფორმაციულ ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესის სისტემებში, რომლის შედეგადაც ისინი შეძლებენ ელექტრონული ბიზნესის სისტემების და ობიექტების შექმნას, ანალიზს და დანერგვას; ელექტრონული ბიზნესსაქმიანობის მართვის უზრუნველყოფას. ისინი გამოიმუშავენ მაღალი დონის პროფესიული საქმიანობისათვის და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების დამოუკიდებლად წარმართვისათვის აუცილებელ უნარებს.

## სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

**ცოდნა და გაცნობიერება** - აქვს ელექტრონული ბიზნესის სისტემების, ობიექტების, პროცესების და ტექნოლოგიების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი იდეების შემუშავების საშუალებას. აცნობიერებს ელექტრონულ ბიზნესში, ვებ-ტექნოლოგიების გამოყენების სფეროში, ბიზნეს კომუნიკაციის მენეჯმენტში და მონაცემთა ბაზების სფეროში არსებულ კონკრეტულ პრობლემებს; ელექტრონული ბიზნესის ინფორმაციული ტექნოლოგიების ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - აქვს ბიზნესპროცესების და გლობალური ქსელების მომხმარებელთა აუდიტორიის, საქონლის ასორტიმენტის და კონკურენტუნარიანობის კვლევის და ანალიზის უნარი; კვლევების და მოდელირების მეთოდების გამოყენების უნარი ელექტრონული ბიზნესის სისტემების და ობიექტების ფუნქციონირების თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებში ორიენტირება. უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება.

**დასკვნის უნარი** - რთული პრობლემების გაგებისა და მათი აბსტრაგირების უნარი; ეკონომიკური ანალიზის ჩატარების ეტაპების საფუძველზე ელექტრონულ ბიზნესთან დაკავშირებით კონკრეტული დასკვნებისა და წინადადებების ჩამოყალიბება. არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და რეალიზაცია.

**კომუნიკაციის უნარი** - შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების წარდგენა აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების დაცვითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; ელექტრონულ ბიზნესში ბიზნეს-პროცესების ანალიზის, განვითარების ტენდენციების, პოლიტიკისა და სტრატეგიის პრეზენტაცია.

**სწავლის უნარი** - შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების მაღალ დონეზე გაცნობიერება; კვლევის კლასიკური და უახლესი მიღწევების შესწავლა და დამოუკიდებლად წარმართვა. ელექტრონული ბიზნესის კომპლექსური შესწავლა.

**ღირებულებები** - შეუძლია პროფესიული, ეროვნული და ზოგადსაზოგადოებრივი ღირებულებებისადმი საკუთარი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა; საქმიანი ურთიერთობების პროცესში ნორმალური ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა, პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების გააზრება და ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღება; იცავს ეთიკისა და აკადემიური პატიოსნების ნორმებს.

## სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული  პრაქტიკა  საკურსო სამუშაო/პროექტი  სამაგისტრო ნაშრომი  კონსულტაცია  დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლებისა და სწავლის გამოყენებული მეთოდები და მათი განმარტება:

**დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**თანამშრომლობითი (Cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**ჯგუფური (Collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

**ეგრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

**შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2

მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

**ინდუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

**დედუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულსაკენ.

**ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

**ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

**წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების ფორმები, რომელსაც განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში: შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა – 60, აქედან: მიმდინარე აქტივობის მაქსიმალური ქულაა – 30, მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა – 15 ქულა; შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 30, მინიმალური დადებითი შეფასებაა – 15 ქულა, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა – 40, მინიმალური დადებითი ქულაა – 20.

დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

## დასაქმების სფერო

ინტერდისციპლინური ინფორმატიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი არსებითი წინაპირობაა ყველა იმ სფეროში დასაქმებისათვის, რომლებშიც მოითხოვენ ინფორმატიკის და ბიზნესის ცოდნას და ლოგიკური აზროვნების უნარს.

კურსდამთავრებულთა დასაქმების ძირითადი პოტენციური სფეროებია: სამეცნიერო კვლევითი ცენტრები; ბიზნესი (ბანკი, სადისტრიბუციო სამსახური, კავშირგაბმულობა, საინფორმაციო

ტექნოლოგიების კომპანიები); ადმინისტრაციული საქმიანობა (სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოები); ეკონომიკის ნებისმიერი სფეროს სახელმწიფო სექტორი და კერძო (ადგილობრივ და უცხოურ) კომპანიები (ფირმები, კორპორაციები, სადაზღვევო, საშუამავლო და სადისტრიბუციო კომპანიები, საინვესტიციო ფონდები, საექსპორტო-საიმპორტო სააგენტოები და სხვა); სამეცნიერო და ანალიტიკურ სტრუქტურები; სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებები; საერთაშორისო ორგანიზაციები.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური და მატერიალური რესურსებით.

**თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 23**

**პროგრამის საგნობრივი დატვირთვა**

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური)	არ აქვს	5			
	ბიზნეს კომუნიკაცია (ფრანგული)	არ აქვს				
	ბიზნეს კომუნიკაცია (გერმანული)	არ აქვს				
	ბიზნეს კომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს				
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ აქვს	5			
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	არ აქვს				
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	არ აქვს				
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს				
3	ელექტრონული ბიზნესი	არ აქვს	6			
4	ელექტრონული კომერციის განვითარების სტრატეგია	არ აქვს		5		
5	ამოცანების დასმა და გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები	არ აქვს	5			
6	საწარმოს რესურსების დაგეგმვის სისტემები (ERP)	არ აქვს	5			
7	ბიზნესის ინტელექტუალური სისტემები	არ აქვს	5			
8	პროგრამული შეფასება - ფორმები და მიდგომები	არ აქვს		5		
9	ბიზნეს პროცესების იმიტაციური მოდელირება	არ აქვს		5		
10	ვებ ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში	არ აქვს			6	
11	ეკონომეტრიკა	არ აქვს			5	
12	საქმიანი თამაშები და ბიზნეს სიმულაცია	არ აქვს			4	
13	საწარმოო პრაქტიკა ელექტრონულ ბიზნესში	ელექტრონული			5	

		ბიზნესი, ელექტრონული კომერციის განვითარების სტრატეგია, საწარმოს რესურსების დაგეგმვის სისტემები (ERP)				
	<b>სპეციალობის არჩევითი საგნები</b>					
14	საგადასახადო პოლიტიკა	არ აქვს	4			
15	მონაცემთა ბაზების გამოყენება ბიზნესში	არ აქვს				
16	ბიზნეს-კომუნიკაციის მენეჯმენტი	არ აქვს		5		
17	ბიზნესის მართვაში ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენება	არ აქვს				
			<b>სემესტრში</b>	<b>30</b>	<b>25</b>	<b>20</b>
			<b>სულ:</b>	<b>75</b>		
<b>კვლევითი კომპონენტი:</b>						
	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	სავალდებულო სასწავლო და კვლევითი კომპონენტები				30
			<b>სულ სემესტრში:</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>
			<b>სულ წელიწადში:</b>	<b>60</b>		<b>60</b>
			<b>სულ:</b>	<b>120</b>		

### სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური)	x	x		x	x	x
	ბიზნეს კომუნიკაცია (ფრანგული)	x	x		x	x	x
	ბიზნეს კომუნიკაცია (გერმანული)	x	x		x	x	x
	ბიზნეს კომუნიკაცია (რუსული)	x	x		x	x	x
2	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	x	x	x	x		
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	x	x	x	x		



	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	x	x	x	x		
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	x	x	x	x		
3	ელექტრონული ბიზნესი	x	x	x	x	x	
4	ელექტრონული კომერციის განვითარების სტრატეგია	x	x	x	x	x	
5	ამოცანების დასმა და გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები	x	x	x	x	x	
6	საწარმოს რესურსების დაგეგმვის სისტემები (ERP)	x	x	x	x	x	
7	ბიზნესის ინტელექტუალური სისტემები	x	x	x	x	x	
8	პროგრამული შეფასება - ფორმები და მიდგომები	x	x	x	x		
9	ბიზნეს პროცესების იმიტაციური მოდელირება	x	x	x	x		
10	ვებ ტექნოლოგიების გამოყენება ბიზნესში	x	x	x	x		x
11	ეკონომეტრიკა	x	x	x			
12	საქმიანი თამაშები და ბიზნეს სიმულაცია	x	x	x	x	x	
13	საწარმოო პრაქტიკა ელექტრონულ ბიზნესში	x	x	x	x	x	x
<b>სპეციალობის არჩევითი საგნები</b>							
14	საგადასახადო პოლიტიკა	x	x	x	x		
15	მონაცემთა ბაზების გამოყენება ბიზნესში	x	x	x	x	x	
16	ბიზნეს-კომუნიკაციის მენეჯმენტი	x	x	x	x		
17	ბიზნესის მართვაში ხელოვნური ინტელექტის მეთოდები გამოყენება	x	x	x	x		
<b>კვლევითი კომპონენტი:</b>							
	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	x	x	x	x	x	x
	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	x	x	x	x	x	x
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	x	x	x	x	x	x

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	LEH12412 G1-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ინგლისური)	5/125			45				2	2	76
	LEH12212 G1-P	ბიზნეს კომუნიკაცია (ფრანგული)	5/125			45				2	2	76
	LEH12612 G1-P	ბიზნეს კომუნიკაცია (გერმანული)	5/125			45				2	2	76
	LEH12812 G1-P	ბიზნეს კომუნიკაცია (რუსული)	5/125			45				2	2	76
2	LEH12512 G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15		30				2	2	76
	LEH12312	დარგობრივი ტექსტის თარგმანის	5/125	15		30				2	2	76



	G1-LP	თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)											
	LEH12712	დარგობრივი ტექსტის თარგმანის	5/125	15		30				2	2	76	
	G1-LP	თეორია და პრაქტიკა (გერმანული)											
	LEH12912	დარგობრივი ტექსტის თარგმანის	5/125	15		30				2	2	76	
	G1-LP	თეორია და პრაქტიკა (რუსული)											
3	BUA74113	ელექტრონული ბიზნესი	6/150	15	45					1	1	88	
	G1-LS												
4	BUA48513	ელექტრონული კომერციის	5/125	15	30					1	1	78	
	G1-LS	განვითარების სტრატეგია											
5	BUA73913	ამოცანების დასმა და	5/125	15		30				1	1	78	
	G1-LP	გადაწყვეტილებათა მიღების მოდელები											
6	BUA74513	საწარმოს რესურსების დაგეგმვის	5/125	15	30					1	1	78	
	G1-LS	სისტემები (ERP)											
7	BUA7361	ბიზნესის ინტელექტუალური	5/125	15		30				1	1	78	
	3G1-LP	სისტემები											
8	BUA4911	პროგრამული შეფასება - ფორმები	5/125	15		30				1	1	78	
	3G1-LP	და მიდგომები											
9	BUA73713	ბიზნეს პროცესების იმიტაციური	5/125	15		30				1	1	78	
	G1-LB	მოდელირება											
10	BUA74213	ვებ ტექნოლოგიების გამოყენება	6/150	30		30				1	1	88	
	G1-LB	ბიზნესში											
11	BUA74013	ეკონომეტრიკა	5/125	15		30				1	1	78	
	G1-LB												
12	BUA41813	საქმიანი თამაშები და ბიზნეს	4/100	15		15				1	1	68	
	G1-LP	სიმულაცია											
13	BUA74413	საწარმოო პრაქტიკა ელექტრონულ	5/125			15		30		1	1	78	
	G1-R	ბიზნესში											
<b>სპეციალობის არჩევითი საგნები</b>													
14	BUA10213	საგადასახადო პოლიტიკა	4/100	15	15					1	1	68	
	G1-LS												
15	BUA74313	მონაცემთა ბაზების გამოყენება	4/100	15		15				1	1	68	
	G1-LP	ბიზნესში											
16	BUA34113	ბიზნეს-კომუნიკაციის მენეჯმენტი	5/125	15	30					1	1	78	
	G1-LS												
17	BUA73713	ბიზნესის მართვაში ხელოვნური	5/125	15		30				1	1	78	
	G1-LB	ინტელექტის მეთოდების გამოყენება											

პროგრამის ხელმძღვანელი

ალექსანდრე ედიბერიძე

ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის  
ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელი

ნინო ჩიკვილაძე

ფაკულტეტის დეკანი

რუსუდან ქუთათელაძე

**მიღებულია**

ბიზნეს-ინჟინერინგის  
ფაკულტეტის საბჭოს  
სხდომაზე 07.07.2014 წ.  
ოქმი №13

ფაკულტეტის საბჭოს  
თავმჯდომარე

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

**მოდირეგულირებულია**

ბიზნესტექნოლოგიების  
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე  
28 მარტი 2018 წელი ოქმი №8

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან ქუთათელაძე